

## მენარმის იურიდიული მისამართის (ადგილსამყოფელის) ცვლილების რეგისტრაციის საკითხისათვის

ბია ქავთარაძე\*

მენარმის (სანარმოს) საქმიანობა შესაძლებელია, ქვეყნის ტერიტორიის რამდენიმე ადგილას ერთდროულად ხორციელდებოდეს. მენარმეს აქვს უფლება, სხვადასხვა რეგიონში დააფუძნოს და მართოს ფილიალი, გახსნას ოფისი და წარმომადგენლობა. მიუხედავად ამისა, „მენარმეთა შესახებ“ კანონით დადგენილი საქმიანი ურთიერთობების მიზნებისათვის ყოველ მენარმეს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი ოფიციალური მისამართი, რასაც კანონმდებელი იურიდიულ მისამართს, ანუ ადგილსამყოფელს უწოდებს.

„მენარმეთა შესახებ“ კანონის (შემდგომი „კანონი“) 5.4.1 მუხლის გ) პუნქტის თანახმად, სანარმოს „ადგილსამყოფელი“ და „იურიდიული მისამართი“ სინონიმებია. ეს ორი ცნება თანაბარი მნიშვნელობითაა გამოყენებული კანონის სხვა მუხლების დებულებებშიც – კანონმდებელი ზოგან მხოლოდ „იურიდიულ მისამართს“ იყენებს (მუხლები: 5.2, 54.2, 63.7), ზოგან – მხოლოდ „ადგილსამყოფელს“ (მუხლები: 7.4, 14.2, 19.2, 53.3.2, 53.3.3, 63.11).

მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარში<sup>1</sup> მართებულადაა აღნიშნული, რომ „სანარმოს იურიდიული მისამართის მითითება აუცილებელი საკანონმდებლო მოთხოვნაა რეგისტრაციისათვის... იურიდიული მისამართის მითითების მიზანი არის ის, რომ დაინტერესებულმა პირებმა და შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა (ფოსტა, საგადასახადო დაწესებულება), საჭიროების შემთხვევაში, ადვილად მიაგნონ საზოგადოებას“. აღსანიშნავია, რომ მენარმის იურიდიული მისამართის (ადგილსამყოფელის) საკანონმდებლო ინსტიტუტის შემოღებას ის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი მიზანიც ჰქონდა, რაც სამენარმეო საქმიანობის მონაწილეთა საქმიანი ურთიერთობების მოწესრიგებასა და გაადვილებას უკავშირდება – ხომ სწორედ ამიტომაც შემუშავდა კანონი „მენარმეთა შესახებ“.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი არ არის „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისი დებულებების აკარგვიანობის დადგენა, ისევე როგორც მისი ამოცანა არ არის მენარმის ადგილსამყოფელის, იმავე იურიდიული მისამართის, სამართლებრივი ინსტიტუტის ბუნების დეტალური და ღრმა ანალიზი.

ამ ნაშრომის მიზანია გაანალიზება იმისა, თუ რამდენად ზუსტად განმარტავს მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი კანონის ზოგიერთ დებულებას და ამ გზით სამართლებრივი და პრაქტიკული თვალსაზრისით ერთი კონკრეტული საკითხის შესწავლა: მენარმის იურიდიული მისამართის ცვლილება უნდა ინვესტირდეს თუ არა მარეგისტრირებელი ორგანოს ცვლილებასაც.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „საზოგადოების ადგილსამყოფელის შეცვლა ინვეს არა ხელახალ რეგისტრაციას, არამედ მხოლოდ ცვლილების რეგისტრაციას“.<sup>2</sup> ეს მოსაზრება ცალსახად მართებულია. იქვე მოყვანილი მაგალითი კი აზუსტებს, რომ საზოგადოების (სანარმოს) იურიდიული მისამართის ცვლილება მარეგისტრირებელი ორგანოს – სასამართლოს შეცვლას არ ინვესტ. ვფიქრობთ, აღნიშნული მაგალითით გათვალისწინებული

\* მმართველი პარტნიორი, „ქავთარაძე და პარტნიორები“.

<sup>1</sup> *ჭანტურია/ნინიძე*, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მეხამე გამოცემა, 2003, 81.

<sup>2</sup> იქვე, 82.

## სტატიები

მოსაზრების სასამართლო პრაქტიკაში დანერგვა ხელს არ შეუწყობს სამენარმეო საქმიანობის მონაწილეთა საქმიანი ურთიერთობების მონესრიგებასა და გაადვილებას, რაც წარმატებული ბიზნესის ერთ-ერთი წინაპირობაა.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელი ნათლად არ განსაზღვრავს იმ პროცედურას, რაც სამენარმეო სუბიექტმა თავისი იურიდიული მისამართის (ადგილსამყოფელის) ცვლილების რეგისტრაციისას უნდა გაიაროს. მიუხედავად ამისა, კანონში მაინც არის ჩანაწერი, რაც მეტ-ნაკლებად ნათელს ხდის ზემოაღნიშნული სარეგისტრაციო პროცედურის ლოგიკურ დასასრულს. კერძოდ, კანონის 19.2 მუხლის თანახმად, „საზოგადოების ყველა საქმიან წერილზე, რომლებიც გაეგზავნებათ ადრესატებს, უნდა მიეთითოს საზოგადოების სამართლებრივი ფორმა და ადგილსამყოფელი, საზოგადოების ადგილსამყოფელის მიხედვით სარეგისტრაციო ორგანო და რეგისტრაციის ნომერი. გარდა ამისა, მითითებული უნდა იყოს საზოგადოების კაპიტალი“.

ცალსახაა, რომ კანონმდებელი „სარეგისტრაციო ორგანოსა“ და „საზოგადოების ადგილსამყოფელის“ ურთიერთკავშირის დადგენისას უპირატესობას საზოგადოების იურიდიულ მისამართს ანიჭებს. სწორედ საზოგადოების ადგილსამყოფელი განსაზღვრავს სარეგისტრაციო ორგანოს და არა პირიქით. სარეგისტრაციო ორგანო საზოგადოების იურიდიული მისამართის „მიხედვით“ დგინდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი სარეგისტრაციო ორგანო უცვლელი იქნებოდა, კანონმდებელი საზოგადოების საქმიან წერილზე მხოლოდ სარეგისტრაციო ორგანოს მითითებას მოითხოვდა და მის მიმართებას საზოგადოების ადგილსამყოფელთან ხაზს აღარ გაუსვამდა.

ამასთანავე, საყურადღებოა, საწარმოს იურიდიული მისამართის ცვლილებით გამოწვეული სარეგისტრაციო ორგანოს ცვლილება უნდა ნიშნავდეს არა საწარმოს ხელახალ რეგისტრაციას, არამედ საკითხი ეხება მხოლოდ ცვლილების რეგისტრაციას და იმას, თუ სად უნდა ინახებოდეს საწარმოს სარეგისტრაციო დოკუმენტები ადგილსამყოფელის ცვლილების შემდეგ.

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „რეგისტრაცია არის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებისა და მოვლენების შეტანა სპეციალურ სახელმწიფო რეესტრში (მაგალითად, სამენარმეო რეესტრში)“.<sup>3</sup> ვფიქრობთ, პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, მენარმის რეგისტრაციის ორმაგი ბუნება უნდა გამოიკვეთოს: თავდაპირველი, სადამფუძნებლო რეგისტრაცია და ცვლილებების რეგისტრაცია.

ცალსახაა, რომ მენარმის სადამფუძნებლო რეგისტრაცია „ერთჯერადი“ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტია, რომელიც უცვლელად დარჩება კონკრეტული მენარმის საქმიანობისა და არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე, მიუხედავად იმისა, თუ რა ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს სამენარმეო რეესტრში საქმიანობის მომდევნო ეტაპზე. სიცხადისათვის შეიძლება მოვიშველიოთ ერთ-ერთი საკონსულტაციო ფირმის მაგალითი. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ გაიარა „სადამფუძნებლო რეგისტრაცია“ კრწანისი-მთანმინდის რაიონულ სასამართლოში 2002 წლის 27 სექტემბერს. საზოგადოების იურიდიული მისამართი იყო: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი, 7. საქმიანობის თითქმის ორი წლის მანძილზე საზოგადოების პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე სასამართლომ სამენარმეო რეესტრში შეიტანა რიგი ცვლილებებისა: შეიცვალნენ პარტნიორები, საზოგადოებამ მიიღო ახალი საფირმო სახელწოდება, შეიცვალა იურიდიული მისამართი და ა.შ. თუმცა ყველა ეს განხორციელებული ცვლილება ვერ შეცვლის თავდაპირველ სარეგისტრაციო მონაცემებს, რომლის თანახმადაც საზოგადოება დაარსდა კონკრეტული საფირმო სახელწოდებით, ჰყავდა კონკრეტული დამფუძნებლები, ჰქონდა კონკრეტული იურიდიული მისამართი, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ყველა ეს საწყისი მონაცემი უკვე შეცვლილია.

<sup>3</sup> იქვე, 31.

სულ სხვა შინაარსის მატარებელია „ცვლილებების რეგისტრაცია“, რაც სამენარმეო სუბიექტის ყოველდღიური საქმიანობიდან მომდინარე მოთხოვნილებებითაა განპირობებული. ცვლილებების რეგისტრაცია დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებსა და მოვლენებს ასახავს სამენარმეო რეესტრში და მას უნდა ახორციელებდეს ის სარეგისტრაციო ორგანო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სამენარმეო სუბიექტის იურიდიული მისამართი.

შესაბამისად, აუცილებელია დავაზუსტოთ, რომ „სარეგისტრაციო ორგანოს“ ცნებაში უნდა მოიაზრებოდეს არა მხოლოდ „პირველადი რეგისტრაციის“ განმახორციელებელი სუბიექტი, არამედ ის ორგანოც, რომელიც კონკრეტულ ვითარებასა და დროში „ცვლილებების რეგისტრაციას“ აწარმოებს და რომელიც შეიძლება არ ემთხვეოდეს პირველად სარეგისტრაციო ორგანოს.

განსახილველ საკითხთან მიმართებით საყურადღებოა სანარმოს ფილიალის რეგისტრაციის პროცედურის განხილვა. კანონის მე-16 მუხლი ადგენს: „სანარმოს შეუძლია დააარსოს ფილიალები, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენენ. ფილიალის შექმნის შესახებ ეცნობება სანარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოს, რომელიც რეგისტრაციისათვის საბუთებს უგზავნის ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოს...“.

უდავოა, რომ სამენარმეო სუბიექტის ადგილსამყოფელის შეცვლისა და მისი ფილიალის დაფუძნების საკითხი ერთმანეთისგან განსხვავებული შინაარსით დატვირთული მოქმედებებია. თუმცა, სარეგისტრაციო პროცედურების ურთიერთშედარების თვალსაზრისით, მათ შორის გარკვეული კავშირის მოძებნის საშუალება არსებობს. კერძოდ, კანონის თანახმად, ფილიალის (რომელიც იურიდიული პირი არ არის) სარეგისტრაციო საბუთები გადაიგზავნება იმ სასამართლოში, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება ფილიალის შემოთავაზებულ ადგილსამყოფელზე. მაშასადამე, იურიდიული მისამართის მიხედვით განისაზღვრება მარეგისტრირებელი ორგანოც – „ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული სასამართლო“ (მუხლი მე-16). თავისთავად გვახსენდება ზემოაღნიშნული კანონის 19.2 მუხლის დებულება, რომლის თანახმადაც, „საზოგადოების ყველა საქმიან წერილზე... უნდა მიეთითოს ... საზოგადოების ადგილსამყოფელის მიხედვით სარეგისტრაციო ორგანო...“.

იმის გათვალისწინებით, რომ სანარმოს ფილიალის (რომელიც არ არის იურიდიული პირი) სარეგისტრაციო საბუთების გადაგზავნა ხორციელდება სანარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული სასამართლოდან ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოში, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რატომ არ უნდა იქნეს გამოყენებული იგივე სარეგისტრაციო პროცედურა თვით მენარმის იურიდიული მისამართის ცვლილებისას? ვფიქრობთ, საკმარისზე მეტი საფუძველი არსებობს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კანონის ანალოგიის გამოყენებისა და მსგავსად ფილიალების რეგისტრაციისა. თვით სამენარმეო სუბიექტის იურიდიული მისამართის ცვლილების შემთხვევაშიც სარეგისტრაციო საბუთები უნდა წარედგინოს მარეგისტრირებელ ორგანოს, რომელიც სარეგისტრაციო საბუთებს გადაუგზავნის მენარმის ახალი ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოს.

ამ ნაშრომის დასაწყისში აღინიშნა, რომ „მენარმეთა შესახებ“ კანონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად სამენარმეო სუბიექტთა შორის საქმიანი ურთიერთობის მონესრიგება და გაადვილება უნდა იქნეს მიჩნეული. რაც უფრო ნაკლები საკანონმდებლო ბარიერი აქვს საქმიან ურთიერთობას, მით მეტია მისი ეფექტურობა. მიზანშეწონილია, საკითხის სწორედ ამ კუთხით იქნეს განხილული.

საყურადღებოა კანონის 14.2 მუხლის ჩანაწერიც, რომლის თანახმადაც, სანარმოს ლიკვიდაციისას „ლიკვიდაციის განმახორციელებელი პირები (ლიკვიდატორები) შეიძლება დაინიშნონ იმ სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც საზოგადოებას აქვს ადგილსამყოფელი“. ცხადია, კანონმდებლის მიზანია, გარკვეული სამართლებრივი მოქმედებების

განხორციელებაზე პასუხისმგებლობა დააკისროს იმ სასამართლოს, რომლის იურისდიქციის ქვეშაც მოექცევა საწარმოს ადგილსამყოფელი, ანუ საწარმოს იურიდიული მისამართის მიხედვით განისაზღვრება ის სასამართლო ორგანო, რომელსაც ლიკვიდატორების დანიშვნის უფლებამოსილება აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონმდებელი აღარ დააზუსტებდა, რომ საუბარია „იმ სასამართლოზე, რომლის ტერიტორიაზეც საზოგადოებას აქვს ადგილსამყოფელი“, არამედ უბრალოდ მიუთითებდა მარეგისტრირებულ სასამართლოზე.

თუკი ვივარაუდებთ, რომ კანონმდებლის მიზანია, საწარმოს ლიკვიდატორების დანიშვნის უფლება მიანიჭოს სასამართლოს, რომელიც არ არის ამ საწარმოს მარეგისტრირებული ორგანო და, შესაბამისად, მასთან არ ინახება სარეგისტრაციო მონაცემები, მაგრამ რომლის ტერიტორიაზეც ფიზიკურად განთავსდება საწარმოს იურიდიული მისამართი, მაშინ გაუგებარია, როგორ უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები (ამ შემთხვევაში ლიკვიდატორების დანიშვნა), თუ მის ხელთ არ არის ლიკვიდაციის პროცესში მყოფი საწარმოს სარეგისტრაციო დოკუმენტაცია – ის ხომ მარეგისტრირებულ სასამართლოში ინახება.

კანონის 14.2 მუხლის მსგავსად, ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველს კანონის სხვა დებულებებიც გვაძლევს, კერძოდ, კანონის 53.3.2 და 53.3.3 მუხლების თანახმად, სააქციო საზოგადოებაში აქციონერთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სამეურნეო მოქმედების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემონგებისა და აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარების უფლებამოსილება გააჩნია „იმ სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც საზოგადოებას აქვს ადგილსამყოფელი“.

კოოპერატივის შემთხვევაშიც კოოპერატივის წევრთა შორის უთანხმოებისას, „სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც აქვს კოოპერატივის იურიდიული მისამართი“, შეუძლია იმსჯელოს საერთო კრების მოწვევის ორგანიზაციული საკითხების თაობაზე (მუხლი 63.7).

მენარმის იურიდიული მისამართის ცვლილებისას მარეგისტრირებული ორგანოს ადგილმდებარეობის საკითხის სასამართლო პრაქტიკაში მართებულ დამკვიდრებას ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამენარმეო ურთიერთობათა ადვილად მონესრიგებისათვის. „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2001 წლის 29 აგვისტოს 321-ე ბრძანების 36-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამენარმეო რეესტრიდან ამონაწერი სანოტარო აქტის შედგენის მიზნებისათვის ძალაშია გაცემიდან 10 დღის ვადაში.

განვიხილოთ ერთი მაგალითი: მენარმემ, რომელიც რეგისტრირებულია მესტიის რაიონული სასამართლოს მიერ, შეიცვალა ადგილსამყოფელი და საქმიანობა განაგრძო ლაგოდეხის რაიონში. შესაბამისი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია ჩაბარდა მესტიის რაიონულ სასამართლოს. მენარმეს საქმიანი მიზნებისათვის დასჭირდა გარკვეული გარიგების დადება, რისთვისაც ნოტარიუსმა მოითხოვა ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან. მენარმე იძულებული ხდება, ლაგოდეხის რაიონიდან გაემგზავროს მესტიაში, აილოს სამენარმეო რეესტრის ამონაწერი და დაბრუნდეს ლაგოდეხში. მსგავსი პროცედურა დროს მოითხოვს და სამენარმეო მიზნებისათვის მეტად არაეფექტურია. აღნიშნული ამონაწერის მოპოვება და ნოტარიუსთან 10 დღის ვადაში წარდგენა შეიძლება შეუძლებელიც კი გახდეს ზამთრის პერიოდში.

და ბოლოს, აქვე ბუნებრივად დაიბადება კითხვა: თუკი მენარმის იურიდიული მისამართის ცვლილების გამო სარეგისტრაციო დოკუმენტაცია უნდა გადაიგზავნოს ახალი ადგილსამყოფელის მიხედვით დადგენილ სარეგისტრაციო ორგანოში, უნდა შეიცვალოს თუ არა საწარმოს სარეგისტრაციო ნომერი, რაც მითითებული უნდა იქნეს საზოგადოების საქმიან წერილზე?

## სტატია 20

---

აღნიშნული საკითხი უფრო მეტად ტექნიკური ხასიათისაა და მისი მართებული გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება ერთიანი სასამართლო რეესტრის წარმოების უნიფიცირებული ნესების შემოღებისა და დამკვიდრების შედეგად. სასურველია, საწარმოს არ შეეცვალოს საწყისი, თავდაპირველი სარეგისტრაციო ნომერი, თუმცა შესაძლებელია დამატებითი აღნიშვნების გაკეთება იურიდიული მისამართის ყოველი ცვლილების დროს. სარეგისტრაციო ნომერში დამატებითი აღნიშვნების გაკეთებამ მენარმეს, ადგილსამყოფელის შეცვლის გამო, დამატებითი საფინანსო სირთულეები არ უნდა შეუქმნას – მათ ხომ მაინც უნდა გამოცვალონ საქმიანი წერილის ნიმუში: ახალ საქმიან წერილზე ახალ იურიდიულ მისამართთან ერთად მიეთითება განახლებული, დაზუსტებული სარეგისტრაციო ნომერიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კითხვას – უნდა იცვლებოდეს თუ არა მარეგისტრირებული ორგანოც ახალი ადგილსამყოფელის მიხედვით მენარმის (საწარმოს) იურიდიული მისამართის ცვლილებისას – დადებითი პასუხი უნდა გაეცეს.